საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №081/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ა.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ა.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 ივნისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. კ.-მ ადვოკატ ი. ა.-ის წინააღმდეგ და ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. 2018 წლის 16 ივლისს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა თავისი პოზიცია.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადმინისტრაციულ დავაში, რომელიც ეხება წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „ლ. -სთვის“ შპს „ლ. ხ-ის“ 25-წლიანი ნედლეულის მოპოვების ლიცენზიის საკუთრებაში გადაცემის კანონიერებას, ადვოკატმა ი. ა.-მ საკასაციო საჩივარი წარადგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ი. ა. მოცემულ დავაში, წარმოადგენდა შპს „ლ. -ს“ ადვოკატს. ხოლო, დავაში, რომელიც მიმდინარეობს სამოქალაქო საქმეზე შპს „ლ. ხ-ის“ მეწილის გარიცხვის თაობაზე, ი. ა. წარმოადგენს შპს „ლ. ხ-ის“ მეორე პარტნიორის ინტერესებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ორივე კომპნიის, როგორც შპს „ლ. -ს“, ასევე შპს „ლ. ხ-ის“ ინტერესები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რომელიც საბოლოოდ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

1.4 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოხატება ასევე, ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევაში, ვინაიდან ის იყო მიკერძოებული და დაუშვა კომპრომისი სახელმწიფოს და კლიენტის სასარგებლოდ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 1 აგვისტოს, ადვოკატმა წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორი არასოდეს ყოფილა მისი კლიენტი და მისთვის არცერთ საქმეში არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება. საჩივრის ავტორთან ადვოკატს შეხება ჰქონდა მხოლოდ სასამართლო დავების განხილვისას, როდესაც ი. ა. წარმოადგენდა ლ. კ.-ს მარწმუნებლების პროცესუალურ მოწინააღმდეგეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ლ. კ.-მ 2015 წლის თებერვლის თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა სარჩელი სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართ“ 2014 წლის 15 აგვისტოს №YYY ბრძანების და 2016 წლის 26 იანვრის №XX/511 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოცემულ სასამართლო დავაში მესამე პირის სახით, ასევე მონაწილეობდნენ შპს „ლ. ხ.“ და შპს „ლ. “. ადვოკატის განმარტებით, ის ამ დავაში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, შპს „ლ. -ს“ ინტერესების დამცველის სახით ჩაერთო და საქართველოს უზენაესს სასამართლოში წარადგინა საკასაციო საჩივარი.

2.3 ი. ა.-ის განმარტებით, სასამართლოში ასევე მიმდინარეობს სამოქალაქო დავა, სადაც სარჩელის ავტორი - ლ. კ., შპს „ლ. ხ-ის“ 80%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის, მ. წ.-ის საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვას ითხოვს. აღნიშნულ დავაში ი. ა. წარმოადგენს მ. წ.-ის ინტერესებს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი არ ფლობს წილს შპს „ლ. ში“, მას 20%-იანი წილი გააჩნია შპს „ლ. ხ.-ში“, რომლის წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ დავაში არ ახორციელებდა ადვოკატი.

2.5 ადვოკატმა განმარტა, რომ ის არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოსაზრებას ადვოკატის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტისა და დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის თაობაზე, ვინაიდან შპს „ლ. ხ.-ს“ და შპს „ლ. -ს“ შორის ინტერესთა წინააღმდეგობა არ არსებობს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ლ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 26 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა, ი. ა.-მ სასამართლოში მიმდინარე დავებში წარმოადგინა ორი კომპანიის, შპს „ლ. ხ-ის" პარტნიორის ინტერესები სამოქალაქო დავაში და შპს „ლ. -ს" ინტერესები უზენაესს სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაში, რითაც დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის პრინციპი.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

1. *,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 8.1 მუხლი: ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას".*

2. *ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1 მუხლი: ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე".*

5.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №092/10 მიუთითა: „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ" .

5.4 შპს „ლ. " და შპს „ლ. ხ." წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტებს. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 24 დეკემბრის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდანაც დგინდება, რომ ლ. კ. არის შპს „ლ. ხ-ის" 20%-იანი წილის მფლობელი, ხოლო მისი პარტნიორი მ. წ. 80%-იანი წილის მფლობელი. საქმეში ასევე წარმოდგენილია შპს „ლ. ხ-ის" პარტნიორთა საერთო კრების ოქმი N4, რომელსაც ესწრებოდდნენ შპს „ლ. ხ-ის" პარტნიორები - ლ. კ. და მ. წ.. კრება ეხებოდა შპს „ლ. -სათვის" სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზიის მთლიანად გადაცემას, რაზედაც ლ. კ.-მ თანხმობა არ განაცხადა. თუმცა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს NYYY ბრძანების საფუძველზე, შპს „ლ. ხ.-ზე" გაცემული სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზია მთლიანად გადაეცა შპს „ლ. -ს". რის თაობაზეც და შესაბამისად, ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით ლ. კ.-მ მიმართა სასამართლოს, სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ხოლო მესამე პირებად საქმეში ჩართული იყვნენ შპს „ლ. ხ.“ და შპს „ლ. “, რომლებმაც მოპასუხის მხარე დაიჭირეს. აღნიშნული გარემოება დგინდება საქმეში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძელზე. ხოლო, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მიხედვით დასტურდება, რომ უზენაესს სასამართლოში შპს „ლ. -ს“ ინტერესებს იცავდა ადვოკატი - ი. ა..

5.5 საქმეში წარმოდგენილია ხელშეკრულება, რომლის მონაწილე მხარეები, ერთის მხრივ, შპს „ლ. ხ.“, წარმოდგენილი დირექტორის მ. წ.-ის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ლ. , წარმოდგენილი ნ. გ.-ის სახით შეთანხმდენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 13 აპრილს გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების NXXXXX ლიცენზიის მთლიანად გადაცემის თაობაზე.

5.6 ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ორივე მეწარმე სუბიექტს - შპს „ლ. ხ-სა“ და შპს „ლ. -ს“ საერთო ინტერესი გააჩნიათ და მათ შორის ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ აქვს.

5.7 მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით ასევე დგინდება, რომ სამოქალაქო დავაში, რომელიც ეხება შპს „ლ. ხ.-დან“ საზოგადოების პარტნიორის გარიცხვას, მოსარჩელე მხარეა ლ. კ., ხოლო მოპასუხე მხარის, 80%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის ინტერესებს იცავს ი. ა.. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი უკავშირდება მეწარმე სუბიექტის პარტნიორებს შორის დავას და ერთი შეხედვით, ეს დავა დამოუკიდებელია ლ. კ.-ს მიერ ნაწარმოებ ადმინისტრაციული დავისგან. თუმცა პარტნიორებს შორის დავა შეიძლება უკავშირდებოდეს იმ გარიგების დადებას, რომლის საფუძველზეც NXXXXX ლიცენზია გადაეცა მესამე პირს. ამ გადაცემის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის ბათილობაზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. შესაბამისად საპროცესო კოლეგიას აქვს საკმარისი საფუძველი მიიჩნიოს, რომ ზემოაღნიშნული ორი სასამართლო დავა არსებითად დაკავშირებულია ერთმანეთთან. შედეგად გამოსაკვლევია, ხომ არ აქვს ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი ამ ორივე დავაში მონაწილეობით დაპირისპირებული მხარეების დაცვის შედეგად.

5.8 ადმინისტრაციული წესით განხილვაში მყოფ დავაში ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ ლ. კ. და მეორე მხრივ კომპანიები - შპს „ლ. ხ.“, რომლის დირექტორი მ. წ. და შპს „ლ. “, სამეწარმეო დავაში ურთიერთდაპირისპირებული მხარეები არიან ლ. კ. და შპს „ლ. ხ-ის“ მეორე მეწილე, მ. წ.. ადვოკატს ი. ა.-ს ლ. კ.-ს ინტერესები არ დაუცავს არცერთ ეტაპზე და შესაბამისად, მათ შორის არ წარმოშობილა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ ადგენს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადვოკატის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის დარღვევას, რადგან ის დავებში ფორმალურად წარმოადგენდა მხოლოდ განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარეებს.

5.9 დამატებითი შემთხვევა, როდესაც ადვოკატს შეიძლება წარმოეშვას ინტერესთა კონფლიქტი არის, როდესაც დირექტორი მოქმედებს კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგალითად აშკარაა, რომ მისი დადებული გარიგება მხოლოდ კომპანიისთვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად.

რადგან ადვოკატის კლიენტი არა კომპანიის დირექტორია, არამედ თავად კომპანია, ის ვალდებულია კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, არ დაეხმაროს დირექტორს ისეთი გარიგების დადებაში, რითაც საფრთხე შეექმნება კლიენტის ინტერესებს. ხოლო თუ ასეთი შემთხვევის შესახებ ადვოკატმა შეიტყო, მან უნდა გაარკვიოს პარტნიორების, როგორც საწარმოს ბენეფიციარი მესაკუთრეების ნება და შესაბამისად იმოქმედოს. როდესაც პარტნიორები ვერ თანხმდებიან, გადამწყვეტია დომინანტი პარტნიორის ან პარტნიორთა ჯგუფის ნება. განსახილველ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დირექტორი მ. წ. კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მ. წ. ამავდროულად კომპანიის 80% წილის მფლობელია და ამიტომ მით უფრო სავარაუდოა, რომ დირექტორი დომინანტი პარტნიორის ნების შესაბამისად მოქმედებს. ადმინისტრაციული დავა ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ ქვედა ინსტანციებსაც არ დაუდგენიათ დირექტორის მიერ კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედება. ამ პირობებში ადვოკატს უნდა ემოქმედა კომპანიის დირექტორის მითითებების შესაბამისად, რითაც წინა პუნქტში მოცემული დასკვნა არ ქარწყლდება.

5.10 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1 მუხლის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ ი. ა.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №081/18 ადვოკატ ი. ა.-ის მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/